საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION, SCIENCE, CULTURE AND SPORT OF GEORGIA

MES 5 19 00110590

03/02/2019

ააიპ "საქართველოს რეფორმების ასოციაციის"
ფაქტ-მეტრის დირექტორს ბატონ დავით ქუტიძეს
ელ. ფოსტა: irina_gurgenashvili@yahoo.com

ბატონო დავით,

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში წარმოდგენილი თქვენი წერილის (სამინისტროში რეგისტრაციის N60771; 23.01.19) პასუხად საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-10, 28-ე, 37-ე, მე-40 მუხლების შესაბამისად გაცნობებთ, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 15 სექტემბრის №154/ნ ბრძანებით დამტკიცებული "სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის გაცემისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის გადატანის წესი და პირობების" მე-5 მუხლის თანახმად, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის თანხის გადარიცხვას ახორციელებს პირველი ნოემბრის (სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის შემთხვევაში – 15 ნოემბრის) და პირველი აპრილისთვის. შესაბამისად, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, 2013 წლის ნოემბრიდან მოყოლებული, ინახავს ბაზის ასლებს და ინფორმაციას სტატუსშეჩერებული სტუდენტების შესახებ გასცემს მხოლოდ ამ თარიღების შესაბამისად. აღნიშნულის გათვალისწინებით, გაცნობებთ რომ 01.11.2013-ის მდგომარეობით საქართველოს ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტატუსი შეჩერებული ჰქონდა 21704 სტუდენტს, მათ შორის ფინანსური დავალიანების გამო - 5847 სტუდენტს.

ამავე დროს აღსანიშნავია, რომ სტატუსის შეჩერების მიზეზების კონკრეტულ საფუძვლებს განსაზღვრავს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება.

0102 ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. N52
52 Dimitry Uznadze str. Tbilisi 0102, Georgia
ტელ/Tel.: (+995 32)2 200 220

ამასთან გაცნობებთ, რომ მოწოდებული ინფორმაცია მოიცავს მხოლოდ აკადემიურ საფეხურებს.

დამატებით გაცნობებთ, რომ "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 89-ე მუხლის 17^1 პუნქტის თანახმად, დაუშვებელია დიპლომირებული სპეციალისტის (პროფესიული უმაღლესი განათლების) საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება 2010-2011 სასწავლო წლის შემდეგ. ამასთან, საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის მონაცემების შესაბამისად, არც ერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება არ ახორციელებს პროფესიული უმაღლესის საგანმანათლებლო პროგრამებს.

აქვე განგიმარტავთ, რომ უფლება გაქვთ მიმართოთ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 47-ე მუხლით დადგენილ რეგულაციებს.

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე
პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე

ადმინისტრაცია / საქმისწარმოების სამმართველო
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი
გურამიშვილი თინათინ